თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს

თბილისში, ერისთავ-ხოშტარიასა და მაყაშვილის ქუჩის მცხოვრები პირების

ლაშა ტუღუშის (599-18-85-25)

გიგლა (გრიგოლ) ბარამიძის (2-93-53-41)

თამარ ვაშაყმაძის (593-34-68-94)

ინგა ბაბლუანის (2-99-73-98)

კახა ქორიძის (597-55-29-89)

ლალი მახათაძის (2-99-81-38)

ია აფხაზავას

მალხაზ ბარამიძისა (2-99-85-30) და

ნინო ცინცაძის (593-34-45-31)

განცხადება

მოგახსენებთ, რომ თქვენს სამსახურში შემოსულია AR1260367 განცხადება, რითაც განმცხადებელი ნატო ალფაიძე ითხოვს შპს "არქიინვესტის", საიდენტიფიკაციო ნომერი 404594046, საკუთრებაში მყოფი ორი მიწის ნაკვეთზე, რომელთა საკადასტრო კოდებია 01.15.02.038.039 და 01.15.02.038.046 მშენებლობის ნებართვის გაცემას.

როგორც თქვენი სამსახურისათვის არის ცნობილი თქვენს მიერ 2013 წლის 26 თებერვალს №561690 ბრძანებით შეთანხმებული პროექტი არის გაუქმებული იმის გამო, რომ ჩვენი სახივრის საფუძველზე თბილისის მერიის 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულებით. ხსენებული ადმინისტრაციული აქტი, 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულება რითაც გაუქმდა №561690 ბრძანება, რომლითაც შეთანხმებული იყო სამშენებლო პროექტი, გასაჩივრებული იქნა შპს "არქიინვესტის" მიერ სასამართლოში. ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 27 თებერვლის №3/2272-13 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა სარჩელი და ძალაში დარჩა 2013 წლის 27 მაისის №1003 განკარგულება, ხოლო მიუხედავად გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის მიერ 2014 წლის 01 აგვისტოს №3ბ/680-14 განჩინებით. როგორც ჩვენთვის არის ცნობილი თავად არქიტექტურის სამსახური ამ საქმეში მოპასუხე მხარეა და თქვენთვის კარგად არის, ყოველ შემთხვევაში უნდა იყოს, ცნობილი, რომ ეს საქმე წარმოებს სასამართლოში, რაზეც განჩინება ჯერაც არ ჩაუბარება არქიინვესტს. თუმცა საკვირველია, რომ საქმე წამოიწყო ადმინისტრაციულ ორგანოში და ადმინისტრაციული ორგანიც ვიდრე არ დასრულდება სასამართლოში საქმის განხილვა ადმინისტრაციულ საქმეს აწარმოებს ყოველგვარი დარღვევითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11 მუხლის 5 ნაწილის შესაბამისად.

ამასთანავე საგულისხმოა, რომ ნატო ალფაიძეს მინდობილობა მიღებული აქვს შპს ქიინვესტისაგან 2012 წლის 11 დეკემბერს და მისი მოქმედება ამოიწურა 2013 წლის 01 თებერვლამდე, თუმცა თქვენს სამსახურში მისთვის ამასაც არ შეუშლია ხელი, რომ

თქვენთან აწარმოოს ადმინისტრაციული საქმე სხვისი სახელით, რომლისგანაც გაცემული მინდობილობა არ აქვს.

მოგმართავთ თხოვნით, გადმოგვცეთ მოცემული ადმინისტრაციული წარმოების მასალები, ამასთანავე უზრუნველყოთ ჩვენი ჩართვა ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ პირებად, ვინაიდან ირღვევა ჩვენი საკუთრების უფლებები მოცემული პროექტის განხორციელებისას და ეს საკითხები იხილება სასამართლოში.

დამატებით სასამართლოს აქტებს ადარ ვურთავთ მოცემულ განცხადებას და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი იურისტის მარიამ ჯაში, რომელიც მონაწილეობდა სასამართლოსა და მერიაში საქმის განხილვებზე გადმოგცემთ მის ხელთ არსებულ ყველა დოკუმენტაციას, რომ ვართ დაინტერესებული პირები და უნდა ჩაგვრთოთ საქმეში ზაკ-ის 95-ე მუხლის საფუძველზე.

განმცხადებლები :

ლაშა ტუღუში

გიგლა (გრიგოლ) ბარამიძე

თამარ ვაშაყმაძე

ინგა ბაბლუანი

ლალი მახათაძე

ია აფხაზავა

მალხაზ ბარამიძე